საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

18.07.2024

N 1212

1212-09-02-11-3-
202407181208

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/64, 11.07.2024)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2024 წლის 18 ივლისის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განიხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის, ტიტე არაშიძის, გიორგი მანველიძის, დავით ბაციკაძის, ნადიმ ვარშანიძის, ფრიდონ ფუტკარაძის, ილია ვერძაძის, დავით თედორაძის, ცოტნე ანანიძის, ირაკლი ჭეიშვილის, მარინე გვიანიძის და ლაშა სირაბიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/64, 11.07.2024).

I. კანონის პროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადაყვანისათვის შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და აჭარის კანონის საქართველოს ორგანულ კანონთან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ჰარმონიზაცია.

II. კანონის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე

გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

კანონის პროექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტში (წამყვანი კომიტეტი) შესაბამის სუბიექტებს შენიშვნები და წინადადებები არ წარმოუდგენიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, კანონის პროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. კანონის პროექტის შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის, ვლადიმერ მგალობლიშვილის, ტიტე არუშიძის, გიორგი მანველიძის, დავით ბაციკაძის, ნადიმ ვარშანიძის, ფრიდონ ფუტკარაძის, ილია ვერძაძის, დავით თედორაძის, ცოტნე ანანიძის, ირაკლი ჭეიშვილის, მარინე გვიანიძის და ლაშა სირაბიძის მიერ ინიციირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე